საგრანტო ხელშეკრულება № 3/350305/41

ქ. თბილისი „30“„06“ 2014წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთიმხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (გრანტის გამცემი, შემდგომში „დონორი“),მისი მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ გრანტის მიმღები საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანება, აღმასრულებელი მდივნის ირჩილ მორჩილაძის სახით

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №01-157/ო ბრძანების შესაბამისად, კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების მიზნით განხორციელებულ საგრანტო კონკურსის ფარგლებში შერჩეული პროტოკოლების პროექტის (დანართი N1) დონორისთვის გადაცემა.

3. შესრულების ვადები

ხელშეკრულების ვადები განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №01-157/ო ბრძანების შესაბამისად.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმებით დასტურდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის პროტოკოლის გამოყენებაზე უფლების მინიჭება.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტს დონორის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №01-157/ო ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის თავმჯდომარე, ხოლო შემსრულებლის მხრიდან, მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება, ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მაგრამ არაუგვიანეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. დონორი ვალდებულია უზრუნველყოს საგრანტო თანხის დროული გადარიცხვა მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, გრანტის მიმღების საბანკო ანგარიშზე;

6.2. გრანტის მიმღები უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოსთხოვოს დონორს საგრანტო თანხის დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

9.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

9.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

9.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

9.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

9.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება გრანტის მიმღებთან, ორი - დანორთან.

9.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

10. მხარეთა რეკვიზიტები

„გრანტის გამცემი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144.
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222)
ა/ა 200122900

_____
დავით ლომიძე
მინისტრის მოადგილე

„გრანტის მიმღები“
საქართველოს სამედიცინო ასოციაციების
გაერთიანება,
მარიჯანის ქ N4, საოფისე ფართი N5;
404904751;
სს "ბაზის ბანკი"
ბანკის კოდი CBASG22
ანგ №GE74BS 0000 0000 4493 6215

არჩილ მორჩილაძე
აღმასრულებელი მდივანი

დანართი N1

N	პროტოკოლის დასახელება	დარგი/ სპეციალობა	ხელმძღვანელი	საერთო თანხა
1.	მკვდრადშობადობის მართვა	მეანობა/ გინეკოლოგია	არჩილ მორჩილაძე აღმასრულებელი მდივანი	200 ლარი
2.	ჭიპლარის გამოვარდნა			200 ლარი
3.	თირკმელგადანერგილი პაციენტის გადანერგვის შემდგომი მდგომარეობის მართვა	ნეფროლოგია		200 ლარი
4.	მემბრანული გლომერულონეფრიტით პაციენტების დიაგნოსტიკა და მართვა			200 ლარი
5.	გლაუკომის მართვა	ოფთალმოლოგია		200 ლარი
6.	მინისებრი სხეულის უკანა ჩამოცლის, ბადურა გარსის ნახეთქებისა და ცხავისებრი დეგენერაციის მართვა			200 ლარი
7.	კრონის ავადმყოფობის მართვა მოზრდილებში	შინაგანი მედიცინა/ გასტროენტეროლოგია		200 ლარი
8.	წყლულოვანი კოლიტის მართვა მოზრდილებში			200 ლარი
9.	კოლინჯის კიბოს მართვა	ონკოლოგია		200 ლარი
10.	კუჭის კიბოს მართვა			200 ლარი
11.	საკვერცხეების/ფალოპის მილების/ავთვისებიანი სიმსივნეების მართვა			200 ლარი
12.	საყლაპავი მილის და გასტროეზოფაგული კიბოს მართვა			200 ლარი
13.	საშვილოსნოს ყელის კიბოს მართვა			200 ლარი
14.	სწორი ნაწლავის კიბოს მართვა			200 ლარი
15.	ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს მართვა			200 ლარი
16.	ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს მართვა			200 ლარი
17.	ძუძუს პირველადი კიბოს მართვა			200 ლარი
18.	შარდის ბუშტის კიბოს მართვა			200 ლარი
19.	სასქესო ასოს კიბოს მართვა			200 ლარი
20.	თირკმლის კიბოს მართვა			200 ლარი
21.	რეციდიული ან მეტასტაზური ძუძუს კიბოს მართვა			200 ლარი
22.	გესტაციური დიაბეტის მართვა	მეანობა-გინეკოლოგია/ ენდოკრინოლოგია		200 ლარი

23.	მშობიარობის დროს ნაყოფის გულისცემის ელექტრონული მონიტორინგი: ტერმინოლოგია, კლასიფიკაცია, მართვის ძირითადი პრინციპები	მეანობა-გინეკოლოგია	არჩილ მორჩილაძე აღმასრულებელი მდივანი	200 ლარი
24.	სანაყოფო გარსების ნაადრევი მშობიარობამდელი გახევა			200 ლარი
25.	მწვავე აპენდიციტის მართვა	ზოგადი ქირურგია		200 ლარი
26.	საზარდულის ჩაჭედილი თიაქრის მართვა			200 ლარი
27.	სარძევე ჯირკვლის კიბოს რადიოთერაპია	რადიაციული ონკოლოგია		200 ლარი
28.	ცხვირხახის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
29.	ენის ძირის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
30.	ენის წინა და შუა მესამედის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
31.	ენის სხვა ნაწილების კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
32.	კუჭის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
33.	ჰოჯკინის ლიმფომის რადიოთერაპია			200 ლარი
34.	ნუშურა ჯირკვლის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
35.	პირის ღრუს ფსკერის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
36.	პირხახის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
37.	პროსტატის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
38.	ყბაყურა ჯირკვლის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
39.	ზედა ყბის სინუსის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
40.	საშვილოსნოს ტანისა და ენდომეტრიუმის კიბოს რადიოთერაპია			200 ლარი
41.	კბილის მაგარი ქსოვილების დაავადებათა პროფილაქტიკა და მართვა	სტომატოლოგია		200 ლარი
42.	დროებითი კბილების რბილი ქსოვილების (პულპისა და პერიოდონტის) დაავადებათა მართვა			200 ლარი
	სულ			8 400 ლარი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„30“ „06“ 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

დ.ლომიძე

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ნ. ბერიძე

თ. შალამბერიძე